წერილის ნომერი: **18-01211183139**
თარიღი: **28/04/2021**
პინი: **5033**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას 7

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ზოგადი ინფორმაცია	
წერილის ნომერი:	N60-01211103015
წერილის თარიღი:	20 აპრილი, 2021
განმცხადებელი:	სერგო გიორგაია
განაცხადის N	AR1806642
მისამართი	ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი N194
საკადასტრო კოდ(ებ)ი:	01.10.06.011.003
ფუნქციური დანიშნულება; კლასი:	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი; IV კლასი
ნომენკლატურა/მოთხოვნის შინაარსი:	გამწვანების პროექტის შეთანხმება
მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები/ გრგ	დადგენილება №76-16 თარიღი: 05 მარტი, 2021 განკარგულება №60 თარიღი: 16 თებერვალი, 2021
არსებული შეზღუდვები	----
ფართობ(ებ)ი:	17000
მიწის ნაკვეთის მესაკუთრე(ები)	შპს ,,დიღომი 3“
არსებული ფუნქციური ზონა(ები):	საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2) სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1)
წარმოდგენილი დოკუმენტაცია	გამწვანების პროექტი
დასკვნა: დადებითი	

საკითხის აღწერა

მოთხოვნილია გამწვანების პროექტთან დაკავშირებით სამსახურის პოზიციის დაფიქსირება

სამართლებრივი დასაბუთება

სამსახურმა იხელმძღვანელა შემდეგი სამართლებრივი საფუძვლებით: საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის ,,გ“

ქვეპუნქტი; საქართველოს კანონის ,,საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის“ 108-ე მუხლი; საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის დადგენილებით №255 დამტკიცებული „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ (შემდგომში მოხსენებული, როგორც ,,დადგენილება“) მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტი, მე-13 მუხლის პირველი პუნქტის ,,ო“ ქვეპუნქტი, დადგენილების მე-19 მუხლის მე-5 პუნქტის „ა“, ,,ბ“ „გ“, „დ“, „ე“, „ვ“, „ზ“ ქვეპუნქტები; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის დადგენილებით №10-11 დამტკიცებული ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის დებულების“ მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი; ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის N05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სია.

სამსახურის პოზიცია:

გაცნობებთ, რომ გამწვანებული სივრცის მოსაწყობად, დასარგავად შემოთავაზებული 134 ძირი ნერგი (17 ძირი ჰიმალაის კედარი, 18 ძირი მინდვრის ნეკერჩხალი, 39 ძირი კავკასიური ცაცხვი, 40 ძირი ქართული მუხა, 20 ძირი კავკასიური სოჭი), ასევე, იმავე ტერიტორიაზე გადასარგავი 25 ძირი მწვანე ნარგავი (1 ძირი ხვალო, 2 ძირი თუთა, 18 ძირი ამერიკული ნეკერჩხალი, 2 ძირი კანადური ვერხვი, 1 ძირი ჩვ. კაკალი, 1 ძირი ჩვ. იფანი) სრულად ითვისებს კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო მინიმალურ ფართობს (2550 კვ.მეტრი). გასამწვანებლად შემოთავაზებული მცენარეები შერჩეულია ქ. თბილისის კლიმატური, ნიადაგობრივი, დეკორატიული და ურბანული პირობების გათვალისწინებით. **ამდენად, სამსახური თანახმაა არსებული სახით დამტკიცდეს გამწვანების პროექტი.**

ინფორმაციისთვის

ნებართვის გაცემიდან 10 დღის ვადაში ნებართვის მფლობელი ვალდებულია მოსალოდნელი მშენებლობის საინფორმაციო დაფის გვერდით განათავსოს ზემოაღნიშნული გამწვანების პროექტის ძირითადი ასპექტების და პარამეტრების ამსახველი ინფორმაცია.

გაცნობებთ, რომ საინფორმაციო დაფაზე გამწვანების პროექტი ვიზუალურად უნდა გამოისახოს მაკეტის ან/და ფოტომონტაჟის სახით. საინფორმაციო დაფის მინიმალური გაბარიტი უნდა იყოს A2 ზომის ფორმატის შესაბამისი. საინფორმაციო დაფა უნდა შენარჩუნდეს სამშენებლო სამუშაოების წარმოების მთელი პერიოდის განმავლობაში და მოიხსნას შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების შემდგომ.

დამატებით გაცნობებთ, რომ მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების მართვა უნდა განხორციელდეს საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსის“ შესაბამისად. იმ შემთხვევაში თუ წარმოქმნილი ინერტული ნარჩენები გამოყენებული იქნება ამოვსების ოპერაციებისთვის ან მშენებლობის მიზნებისათვის, საჭიროა მომზადდეს პროექტი, რომელიც უნდა შეთანხმდეს შესაბამის უწყებასთან (ნარჩენების მართვის კოდექსი (21-ე მუხლის 51-ე პუნქტი).

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესაძლოა გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

პატივისცემით,

გიგა გიგაშვილი

გამოყენებულია კვალიფიციური



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-01211183867**
თარიღი: **28/04/2021**
პინი: **2512**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას 7

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

სსიპ-ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის უფროსს

თეიმურაზ ბოლოთაშვილს

ბატონო თეიმურაზ,

2021 წლის 20 აპრილის N 17-01211103293-16 წერილის პასუხად, რომელიც ეხება ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანი, N194-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ:01.10.06.011.003) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტის შეთანხმებას (AR1806642), გაცნობებთ:

სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ შეისწავლა დაგეგმილი პროექტი და წარმოდგენილი დოკუმენტაცია.

გაცნობებთ, რომ აღნიშნულ ტერიტორიასა და მის მიმდებარედ სატრანსპორტო განვითარების გზების გაანალიზებისა და ქუჩათა ქსელის დაგეგმვის პროცესში სააგენტომ შეიმუშავა საპროექტო ქუჩათა ქსელის განახლებული მოდელი. განახლებული მოედლით განსაზღვრული გზისა და სხვა საგზაო ინფრასტრუქტურის პარამეტრების განაშენიანების პროცესში გათვალისწინების შემთხვევაში, სააგენტო, აღნიშნული საპროექტო ტერიტორიის დაგეგმილი პარამეტრებით განაშენიანების წინააღმდეგი არ არის.

ქუჩათა ქსელის მოდელი, რომელიც მოითხოვა სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურმა და ასევე სამსახურის სხვა რეკომენდაციები სამანქანო შესასვლელებთან დაკავშირებით წარმოდგენილ შეთანხმებულ სატრანსპორტო სქემაზე გათვალისწინებულია. სააგენტო, საპროექტო ტერიტორიის მოთხოვნილი კ2 კოეფიციენტით განაშენიანების შემთხვევაში მხედველობაში არ მიიღებს გენერირებული და მიზიდული ავტომობილების ზეგავლენას, რადგანაც აღნიშნული განაშენიანება აღარ განიხილება ინდივიდუალურ ტრანსპორტზე დამოკიდებულად. შესაბამისად, სააგენტო **სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაზე ზეგავლენის შეფასებისათვის კვლევის წარმოებას მიზანშეწონილად არ მიჩნევს.**

რეკომენდებულია, რომ დაგეგმილი არქიტექტურული პროექტის საპროექტო გენგეგმა შეესაბამებოდეს შეთანხმებულ საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემას (მაგ. საპროექტო ტერიტორიაზე სამანქანო შესასვლელების სიგანისთვის გათვალისწინებულ იქნას 3,5 მეტრი). აღნიშნული გათვალისწინებულ იქნას

არქიტექტურული პროექტის დამუშავებისას მისი შეთანხმების პროცესში.

შენიშვნა: მნიშვნელოვანია, გათვალისწინებული იყოს შეთანხმებული სქემისა და გენგეგმის ერთმანეთთან შესაბამისობა.

აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით, სსიპ-ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურმა დადებითი პოზიცია დააფიქსირა განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების ეტაპზე 2020 წლის 17 ნოემბრის N 01203221558-67 განცხადების პასუხად N0120324633 წერილით. ასევე დადებითი პოზიცია განმეორებით დააფიქსირა განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების ეტაპზე 2020 წლის 17 დეკემბრის N 01203522244-67 განცხადების პასუხად N 01203601689 წერილით.

ვინაიდან, პროექტი არ ითვალისწინებს არსებით ცვლილებებს სამსახურის პოზიცია რჩება უცვლელი.

ზემოაღიშნულის გათვალისწინებით, სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო არ არის აღნიშნული არქიტექტურული პროექტის (AR1806642) შეთანხმების წინააღმდეგი.

პატივისცემით,

ვიქტორ წილოსანი

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი